სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სწავლებების მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი წარმოადგენს აკადემიის საგანმანათლებლო (სტრუქტურულ) ერთეულს
3. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
4. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურის და მეთაურის პირველი მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ამოცანა

სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ამოცანაა, მსმენელთა და იუნკერთა მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, არსებული სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება, მეცადინეობების ჩატარება და მონიტორინგი.

მუხლი 3. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ძირითადი ფუნქციები

1. ფუნქციების შესასრულებლად სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი:

ა) სწავლების/სწავლის ხარისხის ზრდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
ბ) როგორც სპეციალიზებული, ასევე სხვა მეცადინეობების/ღონისძიებების დაგეგმვა, ჩატარება, მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი;

გ) აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განვითარების ხელშეწყობა;

დ) პირადი შემადგენლობის პროფესიული დონის ამაღლება;

ე) სამხედრო განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით სასწავლო-მატერიალური ბაზის დაგეგმვა და ორგანიზება;

ზ) მონაწილეობას ღებულობს სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავებაში;

თ) შეფასების და ანალიზის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გათვალისწინება მომავალი მეცადინეობების/ღონისძიებების დაგეგმვისას;

ი) შესანარჩუნებელი საკითხების განვითარება და გაუმჯობესება;

კ) სასწავლო პროცესის დასრულებისას განახორციელოს ჩატარებული სწავლებების/ღონისძიებების მართული ანალიზი;

ლ) ინიციატივების და ნოვატორობის გამოვლენის ხელშეწყობა;

მ) სწავლებების მიზნების და სტანდარტების ეფექტური გზების პოვნა;

2. დამატებითი ფუნქციების შესასრულებლად სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი:

ა) წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს აკადემიური საბჭოს მუშაობაში;

ბ) მონაწილეობას ღებულობს სასწავლო პროგრამების შემუშავებაში;

გ) ახორციელებს სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების დონის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად შესაბამის ღონისძიებებს;

დ) აღრიცხავს სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის შეიარაღებას, საბრძოლო აღჭურვილობას და სხვა ქონებას;

ე) უზურნველყოფს ცენტრის პირადი შემადგენლობის ფიზიკური მომზადების ორგანიზებას;

ვ) კანონმდებლობით, ამ დებულებითა და მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

მუხლი 4. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობა

1. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრს ხელმძღვანელობს სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის უფროსი, რომელსაც აკადემიის მეთაურის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

2. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრს და წარმართავს მისი ყოველდღიური საქმიანობას;

ბ)უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის მიერ ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისა და დისციპლინის დაცვის კონტროლს;

გ) უზრუნველყოფს ცენტრის მიერ საბრძოლო მომზადების ორგანიზებას;

დ)მონაწილეობას იღებს სასწავლო წლის ძირითადი ღონისძიებების კალენდარული

გეგმის, სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენაში;
ე) მონაწილეობს სასწავლო დისციპლინების მიხედვით ტესტირებების და გამოცდების მომზადებასა და ჩატარებაში;
ვ) ახორციელებს ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას იღებს ცენტრის ბიუჯეტის შემუშავებაში;
თ) პერიოდულად, ცენტრის პირადი შემადგენლობისაგან იბარებს ანგარიშსს, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
ი) აკადემიის მეთაურის პირველ მოადგილესთან შუამდგომლობს დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს;
კ) ადგენს ცენტრის პირადი შემადგენლობის მიერ შვებულებების გამოყენების რიგითობას და უთანხმებს მეთაურის პირევლ მოადგილეს;
ლ) ცენტრის ოპტიმიზაციის მიზნით უზრუნველყოფს წინადადებების წარდგენას აკადემიის მეთაურის პირველ მოადგილესთან, საშტატო ნუსხაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით;
მ) კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას იღებს აკადემიის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში;
ნ) უზრუნველყოფს ცენტრის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული მეცადინეობების პერიოდულ კონტროლს, ნაკლოვანების დადგენდას და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრას;
ო) უზრუნველყოფს ცენტრის პირადი შემადგენლობის მიერ საბრძოლო მომზადების დონის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
პ) უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების დაცვასა და მის კონტროლს მეცადინეობების (განსაკუთრებით საველე სწავლებების) ჩატარების დროს;
ჟ) ახორციელებს ცენტრზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების კონტროლს, განყოფილებების მიხედვით მათი განაწილების ორგანიზებას, სწორი გამოყენებისა და შენახვის კონტროლს;
რ) შუამდგომლობს ცენტრის პირად შემადგენლობას აკადემიის მეთაურის პირველ მოადგილესთან კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით ;
ს) ახორციელებს აკადემიის წესდებით, ამ დებულებითა და აკადემიის მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 5. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

1. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) მხარდაჭერისა და განვითარების ჯგუფი;
   ბ) სიმულაციის სასწავლო ჯგუფი;

2. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია:

ა) მხარდაჭერისა და განვითარების ჯგუფი:

ა.ა) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავებაში;

ა.ბ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ორგანიზებაში;

ა.გ) სპეციალიზირებული მეცადინეობების დაგეგმვა და ჩატარება;

ა.დ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მსმენელთა და იუნკერთა მაღალი აკადემიური მოსწრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

ა.ე) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და მეთაურისინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ა.ვ) მხარდაჭერის და განვითარების ჯგუფის საათობრივი დატვირთვა იხ. დანართი N1-ში.

ბ) სიმულაციის სასწავლო ჯგუფი:

ბ.ა) სასწავლო წლის ძირითადი ღონისძიებების კალენდარული გეგმის, სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენაში მონაწილეობის მიღება;

ბ.ბ) სიმულაციური და პეინტბოლებით მეცადინეობების ჩატარება;

ბ.გ) სიმულაციური და პეინტბოლებით მეცადინეობების მიმდინარეობის დროს მომხდარი შემთხვევების და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ცენტრის უფროსზე დროული მოხსენება;

ბ.დ) უზრუნველყოფს სასწავლო მეთოდური მუშაობის ორგანიზებულად წარმართვას;

ბ.ე) მონაწილეობას ღებულობს სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნაში და გაუმჯობესებაში, უზრუნველყოფს მის სწორ ექსპლუატაციას;

ბ.ვ) მონაწილეობს აკადემიის და სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში;

ბ.ზ) უზრუნველყოფს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას მეცადინეობის ჩატარების დროს

ბ.თ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობითგათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

3. სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის პირადი შემადგენლობის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მათი სამუშაო აღწერილობებით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიის მეთაური.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დოკუმენტის მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.